6.2 შეტყობინებაში მიეთითება წევრთა კრების ჩატარების ადგილი და დღის წესრიგი. წევრმა თავისი წინადადებები დღის წესრიგთან დაკავშირებით ამხანაგობის თავმჯდომარეს უნდა აცნობოს კრებამდე 2 დღით ადრე მაინც.

6.3 წევრთა კრების სხდომას უძღვება ამხანაგობის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას ან მის მიერ ამ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, ამხანაგობის წევრები თავად ირჩევენ კრების თავმჯდომარეს.

6.4. წევრთა კრება ირჩევს კრების მდივანს, რომელიც ადგენს კრების ოქმს და თავმჯდომარესთან ერთად ადასტურებს ხელისმოწერით.

6.5 წევრთა კრება გადაწყვეტილებებს იღებს ქვემოთ მითითებულ საკითხებზე:

1. ამხანაგობის გაუქმება;
2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების ან დამატებების შეტანა;
3. ამხანაგობის საქმიანობის პროფილის შეცვლა;
4. ამხანაგობის გამგეობის არჩევა და გადარჩევა;
5. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტა

6.6 წევრთა კრება უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება ამხანაგობის წევრთა სულ მცირე 2/3 მაინც; წევრს უფლება აქვს წევრთა კრებაზე შესაბამისი სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობით წარმოდგენილი იყოს სხვა პირით.

6.7 იმ შემთხვევაში, თუ წევრთა კრება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება, ერთი კვირის შემდეგ, იგივე დღის წესრიგით, ჩატარდება ხელმეორე კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა 50% მაინც.

6.8 წევრთა კრება გამგეობის არჩევის და გადარჩევის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს ამხანაგობის წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3 უმრავლესობით; სხვა შემთხვევაში, წევრთა კრება გადაწყვეტილებას იღებს ამხანაგობის წევრთა სიითი შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ ხელშეკრულებით ,დადგენილია სხვა უმრავლესობა;

6.9 გადაწყვეტილებების მიღებისას ამხანაგობის თითოეულ წევრს აქვს თითო ხმა.

6.10წევრთა კრებაზე დგება კრების ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ამხანაგობის თავმჯდომარე და კრების მდივანი; კრების ოქმი შეიძლება დადასტურდეს სანოტარო წესით, თუ ეს გათვალისწინებულია კანონმდებლობით ან ამას დაადგენს წევრთა კრება. ოქმში აღინიშნება კრების ჩატარების დრო და ადგილი, დამსწრე წევრები და დღის წესრიგის ირგვლივ მიღებული გადაწყვეტილებები. ამხანაგობის წევრის მოთხოვნით მისი გამოსვლა დეტალურად აისახება კრების ოქმში.“

„მუხლი 6[1]. ამხანაგობის გამგეობა

6[1].1 ამხანაგობის გამგეობა (შემდგომში – „გამგეობა“) აირჩევა წევრთა კრების მიერ ამხანაგობის მოქმედების ვადით;

6[1].2 გამგეობა შედგება 6 პირისაგან. გამგეობის წევრები არ იღებენ გასამრჯელოს თავისი საქმიანობისათვის. გამგეობის წევრმა თავისი მოვალეობა კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რაც მიადგება ამხანაგობას ან მესამე პირებს.

6[1].3 გამგეობის წევრის საქმიანობა წყდება შემდეგ შემთხვევაში:

3.1. გადადგომის შესახებ წერილობითი განცხადების საფუძველზე;

3.2. გარდაცვალების შემთხვევაში;

3.3. თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლისას;

3.4. მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში;

3.5. მისი ვადამდე გაწვევის შემთხვევაში.

6[1].4 გამგეობის სხდომა საჭიროების შემთხვევაში, მოიწვევა ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ. გამგეობის სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნას აგრეთვე გამგეობის სულ მცირე 2 წევრის მოთხოვნით. თუ მოთხოვნიდან 5 დღის ვადაში თავმჯდომარე არ გამოეხმაურება მას, ამ პირებს შეუძლიათ თავად მოიწვიონ გამგეობის სხდომა. გამგეობა ტარდება ამხანაგობის ფაქტიურ მისამართზე ან მომწვევის მიერ შერჩეულ სხვა ადგილას. მოწვევა შეიძლება მოხდეს როგორც ზეპირი, ასე წერილობითი (წერილი, ფაქსი, ელ.ფოსტა და სხვ.) შეტყობინებით;

6[1].5 გამგეობის სხდომას უძღვება ამხანაგობის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას ან მის მიერ ამ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, გამგეობის წევრები თავად ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს.

6[1].6 გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს შემდეგ საკითხებზე:

1.1. ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევა და გამოწვევა;

1.2. ამხანაგობის წევრისათვის თანხმობის მიცემა განკარგოს (გაასხვისოს, დააგირავოს ან სხვაგვარად დატვირთოს) თავისი წილი (წილის ნაწილი). თანხმობა დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით.

1.3. სესხებისა და კრედიტების აღება;

1.4. ამხანაგობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვა;

1.5. სამშენებლო კომპანიის შერჩევა;

1.6. საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების ორგანიზება;

1.7. ამხანაგობის სამტატო განრიგის დამტკიცება;

1.8. თანხმობის მიცემა ამხანაგობის თავმჯდომარისათვის ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ საკითხებზე;

1.9. ამ ხელშეკრულებითა და კანონით მასზე დაკისრებულ სხვა საკითხებზე.

6[1].7 გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს გამგეობის სხდომაზე. გამგეობის სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა 2/3 მაინც. თუ მოწვევისას გამგეობა არ აღმოჩნდა გადაწყვეტილებაუნარიანი, თავმჯდომარე ვალდებულია არაუგვიანეს 1 კვირის ვადაში მოიწვიოს შემდგომი გამგეობა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი.

6[1].8 ისეთ სტრატეგიულ საკითხებზე, როგორიცაა: (მაგ: უძრავი ქონების განკარგვა, სესხებისა და კრედიტების აღება და ა.შ) გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს გამგეობის წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3 უმრავლესობით. ხოლო სხვა საკითხებზე გამგეობის

გადაწყვეტილებები მიიღება გამგეობის წევრთა სიითი შემადგენლობის ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუ ამ ხელშეკრულებით სხვა უმრავლესობა არა არის დადგენილი.

6[1].9 კენჭისყრისას თითოეულ წევრს აქვს თითო ხმა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. გამგეობამ გადაწყვეტილებები შეიძლება მიიღოს სხდომის ჩატარების გარეშეც. ასეთი გადაწყვეტილება ნამდვილად ჩაითვლება, თუკი გადაწყვეტილებას ხელს აწერს გამგეობის ხუთი წევრი მაინც.

6[1].10 თუ გამგეობის წევრი ვერ ესწრება სხდომას, მას შეუძლია დღის წესრიგის თითოეულ პუნქტთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გამგეობის სხდომამდე 2 დღით ადრე წერილობით წარუდგინოს ამხანაგობის თავმჯდომარეს.

6[1].11 გამგეობის სხდომის დროს დგება ოქმი, სადაც აღინიშნება სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მონაწილეები და დღის წესრიგის ირგვლივ მიღებული გადაწყვეტილებები. გამგეობის სხდომის ოქმს ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე. ოქმი შეიძლება დადასტურდეს სანოტარო წესით კანონმდებლობით გათვალისწინებულ ან გამგეობის გადაწყვეტილების შემთხვევაში."

„მუხლი 13. ამხანაგობის წევრის წილის განკარგვა

13.1 ამხანაგობის დამფუძნებელი და შემდგომი წევრები სარგებლობენ თანაბარი უფლება-მოვალეობებით.

13.2 თითოეულ წევრს უფლება აქვს ამხანაგობის გამგეობის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით განკარგოს (გაასხვისოს, დააგირავოს ან სხვაგვარად დატვირთოს) თავისი წილი (წილის ნაწილი). წილის გასხვისება საჭიროებს ასევე სანოტარო წესით დამოწმებას.

13.3 ამხანაგობის წევრის მიერ წილის (წილის ნაწილის) გასხვისება უნდა მოხდეს მათ მიერ ამხანაგობის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებთან ერთად. წილის გასხვისებისას ხდება შემძენზე უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემა და იგი არ გულისხმობს მატერიალური ქონების (მიწის ნაკვეთის, აშენებული ფართის, ნაგებობის) გადაცემას. წილის ნაწილობრივი გასხვისებისას შემძენზე შესაბამისი პროპორციით გადადის გამსხვისებლის ვალდებულებების ნაწილი. წილის (წილის ნაწილის) გასხვისება საჭიროებს ცვლილებების შეტანას ბინების განშლაში და "ამხანაგობის წევრთა ჟურნალში".

13.4 ამხანაგობის წევრები წინამდებარე ხელშეკრულებით უარს აცხადებენ ერთმანეთის წილების შესყიდვის უპირატეს უფლებაზე."

„15.2 მხარეთა შორის ნებისმიერი საკითხი წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, სასამართლოს მეშვეობით."

„15.3 პუნქტი ამოღებული იქნეს."

ხელმოწერები:

ამხანაგობის წევრები:

1. თამარ პაიკიძე
2. მერაბ თუთბერიძე
3. მარინა პაპავა
4. ვალიკო ჩემია
5. ირინე ჭელიძე
6. მანანა ძველიშვილი
7. კონსტანტინე ბერიკელაშვილი
8. ლალი ზიბზიბაძე
9. რობიზონ ქარქაშაძე
10. მარგარიტა ბოტკოველი
11. წულაია ნინო
12. თაქთაქიშვილი ვახტანგი
13. ი. ბაგრატიონ მუხრანელი
14. ბაღრი ჯიმშელეიშვილი

საქართველო

რეესტრში რეგისტრაციის № 09004572.26

სანოტარო აქტი

დღეს, ორი ათას ცხრა წლის თოთხმეტ აპრილს, ჩემთან, ქალაქ თბილისის ნოტარიუს ნარგიზა ჯანხოთელთან სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისი, რუსთაველის 18, გამოცხადდნენ: თამარ პაიკიძე, დაბადებული 10.03.1956 წელს თბილისში, მცხოვრები თბილისში, წერეთლის კორპუსი 13, ბინა 50, პირადობის მოწმობა № ა 0154943, პირადი № 01007007108, გაცემული თბილისის დიდუბის რწმს 2 ქვგ მიერ 22.12.1997 წელს, მარინა პაპავა, დაბადებული 12.11.1950 წელს სარაგოულში, მცხოვრები სოხუმში, ძიძარიას 70-ა, ბინა 8, პირადობის მოწმობა № ე 0155085, პირადი № 62001030771, გაცემული სოხუმის შსს მიერ 14.12.2001 წელს, ველიკო ჩემია, დაბადებული 01.03.1939 წელს გულრიფშში, მცხოვრები სოხუმში, თბილისის გზატკეცილი № 15, ბინა № 33, დროებით მცხოვრები (მისი განცხადებით) თბილისში, თეიმურაზ მღვდლის 13, პირადობის მოწმობა № ე 0042075, პირადი № 62001008989, გაცემული სოხუმის შსს მიერ 09.11.1998 წელს, მანანა ძველიშვილი, დაბადებული 31.07.1958 წელს თბილისში, მცხოვრები თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი № 24, ბინა № 15, პირადობის მოწმობა № ბ 1252763, პირადი № 01008007465, გაცემული სრს საბურთალოს სამსახურის მიერ 12.03.2009 წელს, რობიზონ ქარქაშაძე, დაბადებული 23.06.1963 წელს თერჯოლის რაიონში, მცხოვრები თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი № 19, ბინა 26, პირადობის მოწმობა № ა 0287334, პირადი № 01008021515, გაცემული თბილისის ვაკის რწმსს მიერ 01.08.2000 წელს, ნინო წულაია, დაბადებული 10.01.1966 წელს თბილისში, მცხოვრები თბილისში, სიმონ ჩიქოვანის 20, ბინა 87, პირადობის მოწმობა № ბ 0520187, პირადი № 01026016006, გაცემული თბილისის ვაკე-საბურთალოს რწმ 5 განყოფილების მიერ 02.09.2004 წელს, ირინე ჭელიძე, დაბადებული 16.02.1962 წელს თბილისში, მცხოვრები თბილისში, რუსთაველის 1, პირადობის მოწმობა № დ 0031173, პირადი № 01017000659, გაცემული თბილისის მთაწმინდის შს განყოფილების მიერ 28.02.1995 წელს, ვახტანგ თაქთაქიშვილი, დაბადებული 18.08.1987 წელს თბილისში, მცხოვრები თბილისში, ირაკლი აბაშიძის ჭუჩა № 41, ბინა № 24, პირადობის მოწმობა № ბ 0502582, პირადი № 01008028776, გაცემული თბილისის ვაკე-საბურთალოს შსს საპასპორტო განყოფილების მიერ 15.07.2004 წელს, მარგარიტა ბოტკოველი, დაბადებული 09.03.1975 წელს თელავში, მცხოვრები თბილისში, ბაგები, კორპუსი 1, ბინა 59, პირადობის მოწმობა № ბ 0636295, პირადი № 01008032424, გაცემული ვაკის საპასპორტო და მრს მიერ 18.01.2005 წელს, ბადრი ჯიმშელეიშვილი, დაბადებული 16.02.1966 წელს თბილისში, მცხოვრები თბილისში, ბარნოვის 143, პირადობის მოწმობა № ბ 0001698, პირადი № 01008000776, გაცემული თბილისის ვაკის შს განყოფილების მიერ 24.01.1995 წელს. ცირა თაქთაქიშვილი, დაბადებული 02.08.1944 წელს თბილისში, მცხოვრები თბილისში, დარაყიშვილის I ჩიხი № 1/12, ბინა 4, პირადობის მოწმობა № გ 1211946, პირადი № 01008007240, გაცემული სრს ვაკის სამსახურის მიერ 28.10.2008 წელს, როგორც წარმომადგენელი ირინა ბაგრატიონ-მუხრანელის, დაბადებული 19.12.1945 წელს, პასპორტი 45 01 954173, გაცემული 14.01.2002 წელს, თანახმად მინდობილობისა, დადასტურებული 13.04.2009 წელს მოსკოვის ნოტარიუსის, ს.ი.ედოკოვას, მიერ, რეესტრი № 1დ-928, ლალი ზიბზიბაძე, დაბადებული 23.09.1963 წელს ხარაგაულში, მცხოვრები რუსთავში, ვაჟა-ფშაველას 2 გასასვ. კორპუსი 6, ბინა 7, პირადობის მოწმობა № ა 0070285, პირადი № 35001007035, გაცემული რუსტავის სრსს მიერ 27.09.1995 წელს, კონსტანტინე ბერიკელაშვილი, დაბადებული 04.08.1982 წელს თბილისში, მცხოვრები თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, 2 მ/რ, 2 კვარტალი, კორპუსი 7, ბინა 24, პირადობის მოწმობა № ა 1196587,

პირადი № 01010010840, გაცემული ეაკის სრსს მიერ 15.07.2008 წელს, მერაბ თუთბერიძე, დაბადებული 20.05.1951 წელს წყალტუბოში, მცხოვრები ქუთაისში, რ.თაბუკაშვილის 6, ბინა 6, პირადობის მოწმობა № დ 0168838, პირადი № 60001010856, გაცემული ქუთაისის სრსს მიერ 06.08.1997 წელს. მათ წარმომიდგინეს იბა "კაზა-ბაგები"-ს ერთობლივი საქმიანობის "ამხანაგობის" ხელშეკრულება (31.03.2009 წლის ცვლილებებით) და მოითხოვეს მასზე თავისი ხელმოწერების სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით, მათი ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. ქ.თბილისის ნოტარიუსმა, ნარგიზა ჯანხოთელმა, დავამოწმე წინამდებარე დოკუმენტზე მათი ხელმოწერა და არა დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების სისწორე.

გადახდილია საზღაური საქართველოს კანონის "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" 29 მუხლის თანახმად, 28.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 245-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად, 5,04 ლარი, სულ 33,03 ლარი.

ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი:

№07/44408-13
04.08.08. წ.

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 04/1184

„28. 08 ---------- 2008 წ. ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რ-ნში, წყნეთისგზატკეცილი №37ა-ში, ი.ბ.ა. „კახა-ბაგები"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ.

დამკვეთი – ი.ბ.ა. „კახა-ბაგები"-
საპროექტო ორგანიზაცია – შ.პ.ს. „კახა-ჯგუფი"
ავტორი – გ. გოგრიჭიანი

საფუძველი:-ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა
(სარეგისტრაციო №012007195183 07.12.07; საკადასტრო №01/14/06/07/020)
- ქალაქმშენებლობითი პირობები №448 27.05.08 წ.

მიწის ნაკვეთის ფართი	–	2323.00 მ²
მოშენების ფართი	–	700.41 მ²
საერთო ფართი	–	10285.12 მ²
მათ შორის:		
- ბინების ფართი	–	5793.78 მ²
- საოფისე ფართი	–	228.30 მ²
- საზაფხულო ფართი	–	1204.99 მ²
- ავტოსადგომების ფართი	–	1848.00 მ²
- სადარბაზოების ფართი	–	1210.05 მ²
სამშ. მოცულობა	–	36517.00 მ³
მათ შორის:		
- 0.00 ზევით	–	27967.00 მ³
- 0.00 ქვევით	–	8550.00 მ³

თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005 წლის №140-ე დადგენილების მე-4 თავისა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

შეთანხმდეს ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რ-ნში, წყნეთისგზატკეცილი №37ა-ში, ი.ბ.ა. „კახა-ბაგები"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

– სამშენებლო სამუშაოები დაწყებული იქნას მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ.
– წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მთავრობაში (მის: თავისუფლების მოედანი №2) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში 1 თვის ვადაში.

სამსახურის უფროსი – გ. ავალიანი

შეასრ: ხ.წილოსანი

ქალაქ თბილისის მერიის
ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური

TBILISI MUNICIPAL OFFICE OF URBAN PLANNING

ქალაქთმშენებლობითი პირობები



№ 414

ეგზემპლიარი № 1

თბილისი
2008

ქ. თბილისის მერია

ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამ

სამსახურის მარ
სანებართვო განყოფი

№ 449
27.05.09

ქალაქთმშენებლობითი პირობე

დასაპროექტებელი ობიექტი:	მრავალბინიანი საცხოვრებელ
ობიექტის მისამართი:	ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალო წყნეთის გზატკეცილი №27-ა
დამკვეთი-მშენებელი:	ი.ბ.ა. „კაზა-ბაგები“
მიწის ნაკვეთის მოსარგებლე:	ი.ბ.ა. „კაზა-ბაგები“

ქალაქმშენებლობითი პირობები № ------	დამკვეთი/შენაშენი:	ი.ბ.ა. „კახა-ბაგები“
	საპროექტო ობიექტი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
	ობიექტის/ნაკვეთის დისლოკაცია:	ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, წყნეთის გზატკეცილი №27-ა

I - საერთო ნაწილი

ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის საფუძველი:

ქალაქთმშენებლობითი პირობები გაცემულია „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-3 მუხლის, ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“-სა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების შესაბამისად

- დამკვეთის-მენაშენის განაცხადი:

  № 07/14659-13 10.04.08

- მიწის სარგებლობის დამადასტურებელი საბუთი:

  - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ და საკადასტრო რუკა (სარეგისტრაციო №012007195183 საკადასტრო №1/14/6/7/20;
  - მიწის ნაკვეთი 2323კვ.მ (საკუთრება)

- ტექ. აღრიცხვის სამსახურის მიერ გაცემული საინვენტარიზაციო გეგმა

- სხვა დამატებითი საბუთი:

  ქ. თბილისის მერის განკარგულება №253 18.04.08წ.

- რეგლამენტთან შესაბამისობის დამადასტურებელი საბუთი:

  - ქალაქგეგმარებითი პარამეტრების განსაზღვრის დასკვნა №412

II - ძალაძის გენერალური გეგმის, დეტალური დაგეგმარების ან განაშენიანების პროექტის მოთხოვნები

ქალაქის გენგეგმიდან გამომდინარე განსახილველ ტერიტორიაზე რაიმე გეგმარებითი ცვლილებები არ არის გათვალისწინებული

ქალაქთმშენებლობითი პირობები № ------	დამკვეთი/მესაკუთრე: ი.ბ.ა. „კაზა-ბაგები" საპროექტო ობიექტი: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ობიექტის/ნაკვეთის დისლოკაცია: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, წყნეთ[illegible] გზატკეცილი №27-ა

III - მოთხოვნები მიწის ნაკვეთის (უძრავი ობიექტის) სამშენებლო განვითარებაზე

№	დავალების პოზიციები	რეკომენდაციები
1	შენობა-ნაგებობების განთავსება მიწის ნაკვეთზე, მოშენების ხაზი და სხვა ფაქტორების გათვალისწინება; მიმდებარე შენობები	საპროექტო ობიექტი განთავსდეს საკადასტრ[illegible] რუკით დადგენილი საზღვრების ფარგლებში დაცული იქნას განაშენიანების რეგულირების ხაზ[illegible]
2	შენობის I სართულის და მიწისქვეშა სივრცის გამოყენება	მიწისქვეშა სივრცე შესაძლებელია გამოყენებულ[illegible] იქნას დამხმარე სათავსოების მოსაწყობად
3	მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და გატანა ან მათი სივრცით-გეგმარებითი წყობის შეცვლა	დაშლილი და გატანილი იქნას მიწის ნაკვეთზ[illegible] არსებული შენობა-ნაგებობა
4	მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება მშენებლობა (ინსოლაცია, განათება, ჩაუხედაობა და სხვა)	დაცული იქნას ნაკვეთების საზღვარზე (მოვნაზ[illegible] მშენებლობის ნორმების და წესების მოთხოვნები. პროექტში გათვალისწინებული იქნას საპროექტო ობიექტის ინსოლაცია, განათების საკითხი არსებულ[illegible] განაშენიანებასთან მიმართებაში
5	შიდა და გარე კეთილმოწყობა, მწვანე ნარგავების შენარჩუნებისა და სხვა გარემოს დაცვითი პირობების დაცვა	-ტერიტორია კეთილმოეწყოს და გამწვანდეს. -ობიექტი დაპროექტდეს ხე-ნარგავებისგან თავისუ[illegible] მიწის ნაკვეთზე. -ხის მოჭრის აუცილებლობის შემთხვევაში, [illegible] შეთანხმდეს რაიონულ გამგეობაში. -დეკორატიული ხე-ნარგავების გამ[illegible] დამუშავებული იქნას ტერიტორიის დენდრო[illegible]
6	მიწის ნაკვეთის ზოგადი დახასიათება; მიწის ნაკვეთის საინჟინრო, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა	მიწის ნაკვეთს აღმოსავლეთის მხრიდან [illegible] წყნეთის გზატკეცილთან დამაკავშირ[illegible] გზა, სამხრეთის და დასავლეთის მხარე[illegible] კერძო მფლობელობის მიწის ნაკვეთები.
7	საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა; არქეოლოგიური დასკვნა	ჩატარდეს საინჟინრო-გეოლოგიური [illegible] სამუშაოები; - სეისმურად მიღებული იქნას 8 ბალი.
8	სხვა პირობები	არქიტექტურულ პროექტში გათვალისწ[illegible] -ფასადების მოსაპირკეთებელი მასალ[illegible] მითითება; -გადახურვის მასალისა და ფერის მით[illegible] მუშა დოკუმენტაციაში: - - ფანჯრების, ფრამუგებისა და კარის [illegible] - ინვალიდთა ეტლების ლიფტებამდ[illegible] ლებისათვის პანდუსის მოწყობა; - გათბობა-კონდენცირებისა და [illegible] საკვამლე მილების სისტემა. - მშენებლობის ორგანიზაციის [illegible] ლისწინებული იქნას სამშენებლო [illegible]

შემსრ:	ნ.წილოსანი / [signature]	„——" ———— 2008წ.

ქალაქთმშენებლობითი პირობები	დამკვეთი/მენაშენე:	ი.მ.ა. „კაზა-ბაგები“
№ ———	საპროექტო ობიექტი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
	ობიექტის/ნაკვეთის დისლოკაცია:	ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, წყნეთის გზატკეცილი №37-ა

IV - მოთხოვნები საქალაქო მეურნეობის დარგებზე

წყალსადენ-კანალიზაცია:	
ელექტრო მომარაგება:	
ბუნებრივი აირით მომარაგება:	
სუსტი დენები:	
გრუნტისა და სამშენებლო ნარჩენების ზიდვის მანძილი	ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმდეს მშენებლობის პროცესში ტერიტორიის შეზღუდვის, სამშენებლო ნარჩენების და გრუნტის გატანის პირობები

V - პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის მიღება

პროექტის შეთანხმებისათვის დამკვეთი-მენაშენე ვალდებულია ტექდოკუმენტაცია წარმოადგინოს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში.

მშენებლობის ნებართვა გაიცეს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების მიხედვით.

წინამდებარე ქალაქთმშენებლობითი პირობები ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან ორი წლის განმავლობაში.

ქალაქთმშენებლობითი პირობები შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მთავრობაში (მის: თავისუფლების მოედანი №2) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: სარაჯიშვილის ქ. №1) 1 თვის ვადაში.

მთავარი სპეციალისტი /ნ. რაზმაძე /

ურბანული ეკოლოგიის მთავარი სპეციალისტი /მ. სალუქვაძე /

შემსრ:	ხ.წილოსანი /	„——“ ——— 2008წ.

ქალაქთმშენებლობითი პირობები

№ ——

დამკვეთი/მენაშენე: ი.ბ.ა. „კაზა-ბაგები"

საპროექტო ობიექტი: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ობიექტის/ნაკვეთის დისლოკაცია: ქ. თბილისი, ვაკე-სასაბურთალოს რ-ნი, წყნეთის გზატკეცილი №27-ა

სამსახურის უფროსის მოადგილე: ბ. გელდიაშვილი.

ქალაქგეგმარებითი პარამეტრების განსაზღვრა

დასკვნა № 412

დამკვეთი (მენაშენე): ი.ბ.ა. „კაზა-ბაგები"

დასაპროექტებელი ობიექტი: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ობიექტის მისამართი: ქ.თბილისი, ვაკე-სასაბურთალოს რ-ნი, წყნეთის გზატკეცილი №27-ა

გეგმარებითი შეზღუდვები:

I- მონაცემები არსებული ვითარების მიხედვით

№	ფუნქციური ზონირება „უფლებრივი ზონირების" მუხლი 12-სად	
1	ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის ზონა	სზ1
2	განაშენიანების დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა	სზ2
3	განაშენიანების საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა	სზ3
4	განაშენიანების მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა	სზ4
5	განაშენიანების საშუალო ინტენსივობის საზოგადოებრივ-საქმიანი(შერეული)ზონა	სსზ
6	განაშენიანების მაღალი ინტენსივობის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა	რზ1
7	სარეკრიაციო ზონა 1	რზ2
8	სარეკრიაციო ზონა 2	
9	საწარმოო ზონა	
10	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა	

დასკვნა: ტერიტორია წარმოადგენს განაშენიანების დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონას (სზ2) K_1=0,5; K_2=1,3

შენიშვნები: ქ. თბილისის მერის განკარგულება №253 18.04.08წ. K_2=2,6

ქალაქგეგმარების განყოფილება

შემსრ: ხ. წილოსანი

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 253

"18" აპრილი 2008 წ.

ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი №37ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილების, ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების საკოორდინაციო საბჭოს 2008 წლის 4 აპრილის №04-08 ოქმისა და „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად,

1. ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი №37ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს კ2=2,6.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდეყინებულ იქნეს "ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის და მე-122 მუხლისა და "ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაეკისროს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსს მ. მახათაძეს.

4. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. არაგვიშვილის გამზირი №17) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გ. შაულავა

ქ. თბილისი, 0160, ქ. მარჯანიშვილის ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 378123, ფაქსი: (+995 32) 378154

ქ.თბილისში ვაკე-საბურთალოს რაიონში, წყნეთის გზატკეცილის N37ა-ში ი.ბ.ა. კაზა ბაგების კუთვნილ მიწის ნაკვეთზე 01.14.06.007.020 ქ. თბილისის მერიის განკარგულებით (18.04.2008 N253) ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა შეითანხმა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი (29/08/2008 ბრძანება N01/1184) და არქიტექტურის სამსახურში შევიტანეთ მოთხოვნა მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად, მაგრამ აგვისტოს ცნობილი მოვლენების გამო, ამხანაგობას შეექმნა პრობლემები მშენებლობის დაფინანსებასთან დაკავშირებით. 2009 წელს მოხდა თავმჯდომარისა და წესდების შეცვლაც და სადავო გახდა ამხანაგობის წევრების შეტანილი ფინანსების საკითხი. დღეისათვის ფინანსური შემონატანების საკითხი დარეგულირებულია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით და ამხანაგობის წევრების 14 ბინათმენაშენე ელოდება თუ როდის დავიწყებთ საცხოვრებელი ბინის მშენებლობას. ჩვენ მოძიებული გვყავს მშენებელი ინვესტორი და ყველა საკითხი რეგულირდება (როგორც მშენებლობასთან ასევე მენაშენეებთან დაკავშირებით) პროექტის მშენებლობის ნებართვის მიღებით.